



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 20 ნოემბერი, 2017 წელი

დრო: 13:00 - 15:00

შეხვედრის ადგილი: „ევროპის ფონდი“-ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ევროპის ფონდი
2. ლაშა ტულუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თავისუფალი არჩევანი
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
5. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია ”საქართველოს ჩაი“
6. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. რაისა ლიპარტელიანი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
8. ვიტალი გიორგაძე - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი

განსახილველი საკითხები:

- მთავრობასთან ერთობლივი მაღალი დონის კონფერენცია და მასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები;
- საქართველოს მთავრობაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები;
- ყოველწლიური საერთო კრება და არჩევნები;
- საქართველოს ეროვნული პლატფორმის მხარდამჭერი პროექტი;
- ახალი წევრების მიღება;
- და სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად საბჭომ განიხილა საქართველოს ეროვნული პლატფორმისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივ კონფერენციასთან დაკავშირებული საკითხები. პლატფორმის თავმჯდომარემ ისაუბრა დღის წესრიგის სამუშაო ვერსიაში შესულ ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც პრემიერ-მინისტრი მონაწილეობს მხოლოდ გახსნით სესიაში და არა შემდეგ თემატურ პანელში. მისი განმარტებით, აღნიშნული ცვლილება პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის თხოვნით განხორციელდა.

რაც შეეხება კონფერენციის თარიღს, ოფიციალური პასუხი პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციას პლატფორმის წერილზე: აცნობონ პლატფორმას პრემიერისთვის მისაღები თარიღი და დრო, სამწუხაროდ არ მიუღია. არაოფიციალური ინფორმაციით, კონფერენციის სავარაუდო თარიღად მოიაზრება 11 დეკემბერი.

კონფერენციის დეტალების დასაზუსტებლად საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება პლატფორმის თავმჯდომარე, პლატფორმის მხარდამჭერი პროექტის ხელმძღვანელთან ერთად, შეხვედეს ბატონ ვიქტორ დოლიძეს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს. ასევე, რამდენადაც ამ ეტაპზე მოიაზრება კონფერენციის ჩატარება საქართველოს პარლამენტის შენობაში, პლატფორმამ ოფიციალური წერილით მიმართოს ბატონ ირაკლი კობახიძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს, რათა მანაც, ასევე ოფიციალურად, შეატყობინოს პლატფორმას კონფერენციის მისთვის მისაღები თარიღი.

გარდა ამისა, შეხვედრის თხოვნის წერილი გაიგზავნოს საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ქალაქბატონ თამარ ხულორდავასთან, რათა განიხილონ კომიტეტთან დადებული მემორანდუმი.

შეხვედრაზე განსაკუთრებული აქცენტი გამახვილდა კონფერენციის შინაარსობრივ ნაწილზე. საბჭომ ერთხმად აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, მომხსენებლებმა წინასწარ

განსაზღვრულ დრომდე, *ა.წ. 27 ნოემბრამდე*, წარმოადგინონ პოლიტიკის რეზიუმეები, რათა მაქსიმალურად მომზადებული წარსდგეს პლატფორმა.

შემდეგ საკითხად საბჭომ იმსჯელა მთავრობაში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებზე. საკითხის გარშემო საბჭოს საერთო პოზიციაა, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები მთავრობას საზოგადოებასთან, ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე არ უნდა მიეღო.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე საბჭომ განიხილა საერთო კრების საკითხი. თავმჯდომარის მოადგილემ, პროფესიული კავშირების წარმომადგენელმა, ქალბატონმა რაისა ლიპარტელიანმა ისაუბრა წესდებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ქალბატონმა რაისამ ასახოს ყველა შემოსული წინადადება, მათ შორის საკოორდინაციო საბჭოს შეთავაზება: გათვალისწინებული იქნეს პლატფორმის სტრატეგიულ დოკუმენტში დეკლარირებული მისია და ხედვები და შესაბამისად შემუშავდეს წესდების განახლებული ვერსია. აღნიშნული ვერსია გავრცელდება პლატფორმაში, ხოლო 2018 წლის საერთო კრება კენჭს უყრის შეთავაზებულ ცვლილებებს.

პლატფორმის თავმჯდომარემ წარადგინა წინადადება - დაინერგოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საკოორდინაციო საბჭოს წევრობის კანდიდატები დასახელდებიან წინასწარ. აღნიშნულ საკითხზე საბჭოს არაერთგვაროვანი მოსაზრება აღმოაჩნდა. ამდენად საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შემდეგ სხდომაზე გადაიდოს განსახილველად.

საბჭოს მორიგი შეხვედრის თარიღად მოიზარება 29 ნოემბერი.

შემდეგ, საბჭომ განიხილა პლატფორმის მხარდამჭერი ახალი პროექტი, რომელსაც ამზადებს ლიბერალური აკადემია თბილისი. როგორც ორგანიზაციის დირექტორმა აღნიშნა თანხები საგრძნობლად შემცირებულია და უფრო მეტიც, დელეგაციის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2019 წლიდან პლატფორმა დაფინანსებას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხრიდან ვერ მიიღებს. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ევროკავშირის ოფიციალურ სტრუქტურებში ჯერ კიდევ ინტენსიურად მიმდინარეობს დისკუსიები. ლიბერალური აკადემია თბილისის დირექტორმა გამოხატა მზაობა საბჭოს შემდეგ შეხვედრაზე წარადგინოს პრეზენტაცია პროექტის სამუშაო ვერსიის შესახებ, რათა პლატფორმის საკოორდინაციო საბჭო გაეცნოს პროექტის შინაარსს და პროექტის გუნდმა მოისმინოს მათი მოსაზრებები.

პლატფორმის თავმჯდომარემ სთხოვა ბატონ ლაშა ტულუშს, პროექტში მაქსიმალურად აისახოს პლატფორმის სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები. ასევე, შემცირედეს ადმინისტრაციული ხარჯები და თანხები მაქსიმალურად გადანაწილდეს თემატურ აქტივობებზე.

ორგანიზაციის „ქალი და ბიზნესის“ წარმომადგენელმა, ასევე სთხოვა პროექტის გუნდს მათ მიერ მომზადებული ანგარიშები, რომლებიც პერმანენტულად ეგზავნება დელეგაციას, გაზიარებული იქნეს საბჭოსა და მთლიან პლატფორმაში.

საბჭომ შემდეგ საკითხად იმსჯელა, ორგანიზაციის „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ ხელმძღვანელის საბჭოსადმი მიმართვის საკითხზე. მიმართვა გულისხმობდა თხოვნას, საბჭომ განიხილოს ამ ორგანიზაციასა და „ენერგოეფექტურობის ფონდის“ ხელმძღვანელს შორის არსებული დაპირისპირების საკითხი, რომლის შესახებ ინფორმაციაც თავად ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გაავრცელეს პლატფორმის ქსელში, და იმსჯელოს სიტუაციის გაჯანსაღების შესაძლებლობებზე, პლატფორმის მიზნების და წესდების შესაბამისად. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ რამდენადაც ეს საკითხი პირდაპირ არ ეხება პლატფორმის საქმიანობას და საუბარია ორი ორგანიზაციის ურთიერთობაზე საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის უფლებამოსილი მიიღოს რაიმე ტიპის გადაწყვეტილება.

შეხვედრის ბოლოს, საბჭომ განიხილა გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების: სააპლიკაციო ფორმები. საბჭომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

ორგანიზაციები: „ მწვანე კავკასია“ და „ ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები“ მიიღოს სრულუფლებიან წევრებად, ხოლო ორგანიზაცია: „ახალგაზრდები თვითმმართველობისთვის“ ასოცირებულ წევრად.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა